ეფექტური სამუშაო გუნდის როლი ორგანიზაციის წარმატებაში

ლევან ჭელიძე, სოფიო აბესაძე, თეა ჯალაღანია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე ბიზნესის სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

ხელმძღვანელი: ნინო ჩხეტია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ბიზნესის სკოლის პროფესორ-მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: 11.06.15

ლევან ჭელიძე, სოფიო აბესაძე, თეა ჯალაღანია

სარჩევი

აბსტრაქტი 5

შესავალი 7

1. გუნდის განმარტება, ტიპები, შექმნა, პრობლემები და მისი აღმოფხვრა 9

1.1 გუნდის დეფინიცია..... 9

1.2 გუნდის ტიპები 10

1.3 გუნდის მახასიათებლები და განსხვავება სამუშაო ჯგუფებისგან 13

1.4 გუნდური მუშაობის პროცესი, გუნდის განვითარება და განვითარების ეტაპები 14

1.5 ეფექტური გუნდის შექმნა 16

2. ადამიანური ურთიერთობები ორგანიზაციაში 21

2.1 ორგანიზაციული კულტურა 21

2.2 გუნდის წევრთა როლები..... 23

2.3 ლიდერის ფუნქციები გუნდში და ეფექტური ლიდერის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები..... 25

2.4 კომუნიკაციის და მოლაპარაკებების მნიშვნელობა გუნდში..... 27

2.5 გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემის რაციონალური გადაჭრის ძირითადი ეტაპები……... 29

2.6 თანამშრომელთა მოტივაცია ორგანიზაციის წარმატებით განვითარებისთვის. 30

3. კონფლიქტი გუნდში ……..……..... 31

3.1 გუნდური მუშაობის დროს წარმოქმნილი პრობლემები და მისი გამომწვევი მიზეზები..... 31

3.2 პრობლემების მოგვარება, კონფლიქტების მართვა და მისი გამოსწორების გზები 33

4. კვლევა 36
4.1 კვლევის მიზანი, ობიექტი 36
4.2 კვლევა და კვლევის შედეგები..... 37
4.3 ჩატარებული კვლევის ანალიზი..... 45
5. დასკვნა და რეკომენდაცია 46
6. გამოყენებული ლიტერატურა..... 49
6.1 ბიბლიოგრაფია / გამოყენებული ლიტერატურის სია/ წყაროები 49
6.2 დანართები..... 50

აბსტრაქტი

დღევანდელ ცვალებად ბიზნეს გარემოში გუნდი ორგანიზაციის ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ორგანიზაციები ხშირად იყენებენ მმართველობის ამ მეთოდს.

კონკურენტუნარიან გარემოში ადაპტაციისთვის პირველ რიგში გუნდის წევრების მობილიზება და მაღალი კვალიფიკაციაა საჭირო. ორგანიზაცია შედგება იმ ადამიანთა ჯგუფისგან, რომლებიც ერთიანი მიზნისკენ მიიღწვიან განსაზღვრული სამოქმედო გეგმის მიხედვით. წარმატებული გუნდი კი განსაზღვრავს ორგანიზაციის წარმატებას.

ეფექტური გუნდი შედგება წინასწარ სწორად შერჩეული ადამიანებისგან, რომლებსაც გააჩნიათ საერთო მიზანი, ხოლო ამ მიზნის მისაღწევად ერთთმანეთთან მჭიდრო კომუნიკაციის საშუალებით სახავენ გეგმებს, თუ როგორ უნდა შესრულდეს ესა თუ ის ამოცანა. ხშირ შემთხვევაში გუნდს ყავს ლიდერი, რომელიც ეხმარება გუნდის წევრებს სწორად დასახონ პრიორიტეტები, შეიმუშავონ სწორი გეგმა და მიიღონ გადაწყვეტილება. გუნდის ლიდერი ზრუნავს გუნდის წევრთა მოტივაციაზეც, რადგან მოტივაცია თამაშობს დიდ როლს ორგანიზაციის გაზრდასა და განვითარებაში.

მნიშვნელოვანია გუნდის წევრების სწრაფი და სწორი რეაგირება გარემოში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებებზე. გუნდი მუდამ მზად უნდა იყოს ნებისმიერი გამოწვევისთვის, რისთვისაც საჭიროა გუნდის წევრების პროფესიონალიზმი და მათი ლოიალური დამოკიდებულება სხვა გუნდის წევრებისა და ლიდერის მიმართ.

ნაშრომში განვიხილავთ, თუ როგორ იქმნებიან გუნდები ორგანიზაციაში, მათ ტიპებს და ამასთანავე ვისაუბრებთ გუნდის ლიდერზე თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ლიდერის სწორ დამოკიდებულებას და თვისებებს როგორც გუნდისთვის ასევე

ორგანიზაციისთვის. მოტივაციის მნიშვნელობაზე და ჩვენ მიერ შესწავლილ ორგანიზაციაში თუ რა მოტივაციის მეთოდებს ანიჭებენ უპირატესობას.